პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 მარტი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 65 (15278)

კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში იზრდება მნიშვნელობა სსრ კავშირისა, რომელმაც ისტორიულად მთლიანად გაამართლა სახელმწიფოს ისეთი ფორმა, რომელშიც თავისუფალი ხალხები ერთად იბრძვიან პარტიის საპროგრამო მიზნებისათვის, კომუნისტური იდეალებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“.

სპეციალისტი და მოსავალი

ეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობაში კვლავ გადაუდებელ საკვანძო ამოცანად რჩება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება თვითეულ რაიონში, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ეს შესაძლებელია იმ პირობით, თუ განუხრელად განვამტკიცებთ სოფლად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ფართოდ განვახორციელებთ სოფლის მეურნეობაში ინტენსიფიკაციას, ქიმიზაციას, კომპლექსურ მექანიზაციას, გაბედულად დავნერგავთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას.

ამ ამოცანების განხორციელებაში დიდია სოფლის მეურნეობის სპეციალისტების როლი. აგრონომს სამართლიანად უწოდებენ მინდვრების ტექნოლოგს. აგრონომები, ინჟინერ-მექანიზატორები ძირითადად უზრუნველყოფენ მოსავლიანობის ზრდას. ფართო პროფესიული თვალსაზრდვა, სიტკბილე დასახული მიზნის მიღწევაში, შრომისმოყვარეობა, მომთხოვნელობა, მუშაობის უნარი, მუდმივი ცოცხალი კავშირი სამეცნიერო დაწესებულებებთან! — ეი რა უნდა იყოს თვითეული აგრონომის, ყველა სპეციალისტის დამახასიათებელი ნიშანი.

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მუშაკები და სპეციალისტები მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს განსაკუთრებული გამოცდის წინაშე დგანან. ხანგრძლივმა და მკაცრმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა საშემოდგომო კულტურების ნათესებს, ბაღ-ვენახებს, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს. ამასთან დაკავშირებით გადაუდებელმა სამუშაოებმა ერთად მოიყარა თავი და ისინი ძლიერ შემჭიდროებულ ვადებში უნდა შესრულდეს.

მხვნელ-მოსულების, სპეციალისტების თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ წითელწყაროს რაიონში მერვე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით მარცვლოვანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 7,8 ცენტნერით გაიზარდა. შარშან მეტად არახელსაყრელი ამინდის პირობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 17 ცენტნერი მარცვალი. ქვემო ქედის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 20,4 ცენტნერი მარცვალი, სოფელ ჭაფარიძის კოლმეურნეობამ — 19,8 ცენტნერი.

ეს ფაქტები მიგვითითებს იმაზე, რომ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით, აგროტექნიკურ მოთხოვნათა ზუსტად, დროულად შესრულებით, რაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტების პირდაპირი მოვალეობაა, სრული შესაძლებლობა არსებობს წელს და ამ ხუთწლედის შემდგომ წელში მკვეთრად გავადიდოთ მარცვლეულის მოსავლიანობა. კერძოდ, თითარი ყურადღება უნდა დაეთმოთ ხორბლის, სიმინდის მოსავლიანობის ზრდას.

უდავოა, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოპოვებულ წარმატებებში ჩვენს სახელოვნებ სპეციალისტებს ხერხიწული წვლილი უდევთ, მაგრამ მარტო ისინი, ცხადია, ვერ გადაწყვეტენ სადღეისო ამოცანას. მთავარია **ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ქმედითი დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, გააქტიურონ მომთხოვნელობა დაკისრებული მოვალეობისათვის და ერთობლივი ორგანიზატორული მუშაობით ამრავლონ წარმატებანი.**

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მრავალათასიანი არმია სოფლის შრომელებთან მხარდამხარ მუშაობენ, მათი ხადღეისო ინტერესებით ცხოვრობენ, მათთან ერთად სასახელოდ ებრძვიან პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კარგი სპეციალისტი მუდამ ძიებაშია, მუდამ ხალხშია. სპეციალისტები არა მარტო მეცნიერების მიღწევებს ნერგავენ მინდვრებში, არამედ არიან წარმოების კარგი ორგანიზატორები და შრომელთა აღმზრდელები. იქ, სადაც გამოცდილი, უნარიანი სპეციალისტები მუშაობენ, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, უბანსა თუ ბრიგადას უდგანან ხათავეში, წარმატებანიც მრავლდება.

ახლა, როცა გაზაფხული ძალაშია, გადაუდებელი სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად უნდა შესრულდეს. ამისათვის ფართოდ ჩაედება სოფლად სოციალისტური შეჯიბრება, **წითელწყაროს, ბორის, გურჯაანის, მახარაძის, უვარლის, მარნეულის, გარდაბნის, ქარელის, გალის, კოლუმეთის, ბოგდანოვკის, ჩხოროწყუს, ხობის** და სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებებზე გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს, რეზერვებს და ახალი ვალდებულებანი იკისრეს. მაგალითად, წითელწყაროელებმა პირობა დადეს **წელს უარწყავში საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 22 ცენტნერი მარცვალი და მთლიანად აწარმოონ 60.000 ტონა მარცვალი. საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 21,5 ცენტნერი ხორბალი, 25 ცენტნერი სიმინდი, ხახელმწიფოს მიჰყიდონ 17.000 ტონა მარცვლეული ნაცვლად 13.000 ტონისა. სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის გაარჩევს მუშობა უვარლის, გალის, ცხაკაიას, ხობის და სხვა რაიონების შრომელებმა.**

სულ მალე მასობრივად დაიწყება საგაზაფხულო კულტურების თესვა. ამ სამუშაოს წარმატება კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სპეციალისტებზე, ჩვენს მექანიზატორებზე. საქიროა „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა განყოფილებებმა, თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ მწყობრში ჩაიყენონ მთელი ტექნიკა და უზრუნველყონ მისი გამართული მუშაობა. **ყურადღება განსაკუთრებით უნდა მიეცეს თესვის პერიოდში ტექნიკის ორ ცვლად მუშაობის ორგანიზაციას.** საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ დროულად შესრულდეს სამუშაოთა გაზრდილი მოცულობა, უზრუნველყოფილ იქნას თესვის მაღალი ხარისხი.

უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის სპეციალისტების ადგილი მხოლოდ და მხოლოდ მინდვრებშია. ამ პერიოდში მათ უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, სწორად არის თუ არა გამოყენებული სპეციალისტები, როგორია მათი როლი ამა თუ იმ უბანზე, როგორია მათი შრომის პრაქტიკული შედეგები. ამასთან ერთად ბევრგან ახალგაზრდა სპეციალისტები მუშაობენ. მათ არ უნდა მოაკლონ მუდმივი დახმარება და ზრუნვა, გამოცდილების შეძენაში, შემოქმედებითი ჩვევების განვითარებაში.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა დიდი ლაშქრობა მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შესრულებისათვის. სოფლის მშრომელები ენერგიულად მუშაობენ. **თვითეული დღე გამოცხადებულია დამკვრელურ დღედ.** ახლა სოფლის პარტიული ორგანიზაციებს მოვალეობაა აქტიურად დაუჭიროს მხარი შრომელთა ინიციატივას, ახლებურად უხელმძღვანელოს შეჯიბრებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ის არს, რომ განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი, ვიაროთ წინ ახალი ზღუდეების ასაღებად. ამ ამოცანის შესრულებაში სოფლის თვითეული სპეციალისტი სათავეში უნდა ჩაუდგეს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლას.

სოფლის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, **ყოველმხრივ დაეხმაროს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, კვლავაც მოიპოვონ დიდი წარმატებანი და გამარჯვებული შეხვდნეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.**

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1972 წლის 21 მარტს **მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-13 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია.**

სესია გაიხსნება დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 11 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 102 წლისთავის აღსანიშნავად კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ

მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელთა თაოსნობით რესპუბლიკის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს 1972 წლის 15 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა და გამომშაბებული სახსრები გადასცეს მეცხრე ხუთწლედის ფონდს. შაბათობა ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავსა და ვ. ი. ლენინის დაბადების 102 წლისთავს. მაგალითად, თბილისის კროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხნის კოლექტივმა გამოანახა დამატებითი რეზერვები და ვალდებულება იკისრა აქტიური მონაწილეობა მიიღოს შაბათობაში, გამოუშვას ამ დღეს 19 ათასი მანეთის პროდუქცია. რუსთაველმა მეტალურგებმა პირობა დადეს შაბათობის დღე აღნიშნონ მაღალნაყოფიერი შრომით და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 50 ტონა თუჯი, 100 ტონა ფოლადი, 100 ტონა მილები, 200 ტონა მზა ნაგლინი, თბილისის ხართან-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა დავალების გადამეტებით დაამზადოს ტრიკოტაჟის ნაწარმი და ხუთწლედის ფონდში შეიტანოს სამი ათასი მანეთი.

მოწინავეთა თაოსნობას მხურვალედ დაუჭერეს მხარი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელმა, ჭუთაისის საავტომობილო, ბათუმის მანქანათსაშენებელმა, ცხინვალის „ვიბრომანქანის“ ქარხნების, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის და ბევრი სხვა საწარმოს მუშაკებმა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების მომზადებასა და მოწყობაში პროფკავშირულ ორგანიზაციათა მოკავშირეობის შესახებ, მასობრივ შაბათობაში მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების მოსწავლეების, სტუდენტების ფართოდ ჩაბმის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მოწინავე კოლექტივების პატრიოტული ინიციატივა, რომელებმაც მხარი დაუჭირეს მასობრივი კომუნისტური შაბათობის მოწყობის თაოსნობას, და წინადადება მისცა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სამინისტროთა, უწყებათა, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და ხათავეში ჩაუდგნენ საქართველოს მშრომელთა ამ მოძრაობას, მათს მისწრაფებას აქტიური და ქმედითი მონაწილეობა მიიღონ შაბათობაში, მოიპოვონ ახალი წარმატებანი. კომუნისტურ მშენებლობაში; ფართოდ გაიჩაღონ მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ფართო მასებში შაბათობის, როგორც კომუნისტური შრომის დღესასწაულის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების დიდმნიშვნელოვანი ეტაპის მოსამზადებლად და მოსაწყობად; შაბათობის დღეს ყველა მშრომელისთვის უზრუნველყონ ზუსტი და ნაყოფიერი მუშაობის, შრომის მაღალი ნაყოფიერების, მუშათა, მოსამსახურეთა, მოსწავლეთა აქტივობის გამოვლინების პირობები.

გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს ევალებათ გააშუქონ შაბათობისათვის მზადება, მისი მოწყობა, მშრომელთა შრომითი წარმატებანი და ღონისძიებანი ხამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ კომუნისტური შაბათობა რესპუბლიკაში წელს ჩაივლის მასობრივი შრომითი გმირობის, თვითეული მშრომელის იმ მისწრაფების ნიშნით, რომ თავისი წვლილი შეიტანოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ხუთწლედში, ხაბჭოთა კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრებაში. (საინფორმო).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო პაკისტანის პრეზიდენტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 17 მარტს მიიღო პაკისტანის პრეზიდენტი ზ. ა. ბჰუტო.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ხასიათს ატარებდა, გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობების, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მდგომარეობისა და ამ რაიონში წარმოქმნილი პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების შესაძლო გზების საკითხებზე. განხილეს აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო საკითხები.

პაკისტანის პრეზიდენტის პატივსაცემად

16 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის **ზულფიკარ ალი ბჰუტოს** პატივსაცემად.

სადილზე სტუმართან ერთად სადილზე იყვნენ მისი თანმხლები პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ს. პოლიანსკი** და სხვები.

სადილის დროს ა. ნ. კოსიგინმა და ზულფიკარ ალი ბჰუტომ მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-პაკისტანის მოლაპარაკება

16 მარტს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ნ. კოსიგინსა** და პაკისტანის პრეზიდენტს **ზულფიკარ ალი ბჰუტოს** შორის.

მოლაპარაკების დროს განხილეს საბჭოთა კავშირსა და პაკისტანს შორის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, მდგომარეობა, ინდოსტანის სუბკონტინენტზე, აგრეთვე ორი მხარისათვის საინტერესო სხვა საერთაშორისო პრობლემები. (საკდესი).

საუზმე პაკისტანის პრეზიდენტთან

პაკისტანის პრეზიდენტმა **ზულფიკარ ალი ბჰუტომ** 17 მარტს საუზმე გამართა.

საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ს. პოლიანსკი** და სხვები.

პაკისტანის პრეზიდენტთან ერთად საუზმეზე იყვნენ მისი თანმხლები პირნი.

სტუმრებს სიტყვით მიმართა ზულფიკარ ალი ბჰუტომ. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა. ზულფიკარ ალი ბჰუტოსა და ა. ნ. კოსიგინის სიტყვებს ტაშით შეხვდნენ.

საუზმემ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ხუთწლედს— დამკვრელური შრომა

ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი თავდადებით შრომობს ხუთწლედის ვახტზე. წლის განვლილ ორთვენახევარში საწარმოს კოლექტივმა მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის სხვადასხვა ნავთობპროდუქცია მისცა ქვეყანას. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდა დანადგარი, რომელსაც ვ. ნიკოლოსოვი ხელმძღვანელობს. დანადგარზე თავი ისახელა ოპერატორის თანაშემწემ ა. მოწყობილმა. სურათზე: დანადგარის უფროსი ვ. ნიკოლოსოვი და ოპერატორის თანაშემწე ა. მოწყობილი.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

გუნებრივი გაზი ცხინვალში

საზეიმოდ ჯრის მორთული ცხინვალის ცენტრი — თეატრალური მოედანი. ქალაქის მკვიდრნი აქ მოვიდნენ, რათა დასწრებოდნენ მიტინგს, რომელიც მიეძღვნა საოლქო ცენტრში ბუნებრივი გაზის ანთებას.

მიუხედავად დიდი ზამორისა, 17 კილომეტრი სიგრძის გაზსადენი ტრასა დამქმელ ვადაზე ორი კვირით ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ. იგი განშტოებაა იმ ძირითადი ტრასისა, რომელიც გორიდან ქუთაისში მიემართება.

გაზის მაგისტრალების მშენებლებმა დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ გადაელახათ ზამთრისაგან შექმნილი დაბრკოლებანი, კილომეტრს კილომეტრს უმატებდნენ და ცხინვალისაკენ მიიწევდნენ. გარდა ამისა, მათ ქალაქში გაიყვანეს 8 კილომეტრი გამანაწილებელი ქსელი.

ბუნებრივი გაზი მოვიდა ცხინვალში. ქალაქი ზეიმით შეხვდა ამ ამბავს. ნამდვილად კარგი საჩუქარი მიიღეს საოლქო ცენტრის მშრომელებმა სწორედ იმ პერიოდში, როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს ეზეიმობდნენ. (სპ. კორ.).

მინათმოქმედთა შეჯიბრების დევიზია: არ დავიშურებთ ძალ-ღონე უხვი მოსავლის მისაღებად

ლანჩხუთისა და ცხაკაიას რაიონების სოფლის მშრომელთა ვალდებულებანი

ლანჩხუთის რაიონის მიწათმოქმედებმა გამოიანგარიშეს არსებული რეზერვები და გადაწყვიტეს სოფლის მეურნეობის, სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოიის მოყვანას.

აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად დაითესება სოია და დამუშავდება მისი ნათესები, 850 ჰექტარამდე გადიდდება მარტო ამ კულტურის ნათესების ფართობი, სიმინდნარევი ნათესები დაიკავებენ 700 ჰექტარს.

მიწათმოქმედებმა ვალდებულება იკისრეს მიიღონ 1.500 ტონა სოია გეგმით გათვალისწინებული 1.200 ტონის ნაცვლად. სოიის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა მიაღწევს 10 ცენტნერს გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერის ნაცვლად. სახელმწიფოს მიეყიდება 600 ტონა სოია, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 345 ტონა.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე რაიონის ცალკეულმა მეურნეობებმა.

სოფელ ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები აწარმოებენ 65 ტონა სოიის და სახელმწიფოს მიჰყიდიან 30 ტონას.

სოფელ ეწრის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობაში აწარმოებენ 60 ტონა სოიას, აქედან სახელმწიფოს მიეყიდება 25 ტონა. საშუალოდ ჰექტარზე აქ მოიწევენ 12 ცენტნერ პარკოსნებს.

ჯურუყვეთის კოლმეურნეობის მემინდვრეები მიიღებენ 50 ტონა სოიას, სახელმწიფოს მიჰყიდიან 25 ტონას.

სოიის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში მაღალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სოფლების **მამათის, აცანის, ჩანჩეთის, ქვემო აკეთის, გვიმბალაურის, ქვემო ჩიბათის კოლმეურნეობებმა, ლანჩხუთის ჩაისა და ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებმა.**

მიწათმოქმედებმა ვალდებულება იკისრეს მიიღონ 1.500 ტონა სოია გეგმით გათვალისწინებული 1.200 ტონის ნაცვლად. სოიის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა მიაღწევს 10 ცენტნერს გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერის ნაცვლად. სახელმწიფოს მიეყიდება 600 ტონა სოია, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 345 ტონა.

ცაგერის კოლმეურნეობებმა ეს ფაქტი ბოლო ხანებში ერთ-ერთ ადგილობრივ ინფორმაციულ ბიულეტენში ასეთ ფორმულირებას ეძლევა: „ეს ფაქტი ადასტურებს, ერთ-ერთ ადგილობრივ ინფორმაციულ ბიულეტენში ასეთ ფორმულირებას ეძლევა: „ეს ფაქტი ადასტურებს, ...

...ლია, პარტორგანიზაციის მდივანი ი. პაპაია) სოიის დათესვას 50 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე მოიყვანს 11 ცენტნერ მოსავალს, გეგმაზე ერთი ცენტნერით მეტს, აწარმოებს 550 ცენტნერ სოიას.

სოფელ ზანის ეფანოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ე. გვათუა, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ტყეებუჩავა) მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწონ 10 ცენტნერი სოია გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერის ნაცვლად. ამავე კოლმეურნეობის № 6 ბრიგადა, რომელსაც გ. ჯალაღონია ხელმძღვანელობს, 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 12 ცენტნერ მოსავალს.

ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ს. ნასარაია, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ეფაკა) თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწევენ 11 ცენტნერ სოიას გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერის ნაცვლად, სულ აწარმოებენ 1.200 ცენტნერს გეგმით გათვალისწინებული 1.000 ცენტნერის ნაცვლად.

ტეხურის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ნ. ცხვიტაია, პარტ-

...ორგანიზაციის მდივანი მ. ჭანტურია) სოიის ჰექტარობრივი მოსავლიანობა მიაღწევს 13 ცენტნერს, მაშინ როცა დავალებით გათვალისწინებულია 10 ცენტნერი. ამავე საბჭოთა მეურნეობის № 2 აგროგანყოფილებამ, რომელსაც ე. ნადარეიშვილი ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა სოიის ნათესების თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 14 ცენტნერი მოსავალი.

დასახულია განხორციელდეს სიმინდის წარმოების შემდგომი გადიდების მთელი რიგი ღონისძიებანი. წელს სიმინდის ნათესების თვითეულ ჰექტარზე მოიწევენ 18 ცენტნერ მარცვალს გეგმით გათვალისწინებული 15,5 ცენტნერის ნაცვლად. გადაწყვეტილია სახელმწიფოს მიჰყიდონ 700 ტონა სიმინდის მარცვალი, მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებულია 505 ტონა.

ამასთანავე კვლავ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჩაისა და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებას. **რაიონის მეჩაიეები ვალდებულებას კისრულობენ გადასამუშავებლად გაგზავნონ 6 ათასი ტონა ნედლეული დაგეგმილი 5.493 ტონის ნაცვლად. საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები აწარმოებენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან 1.540 ტონა ეთერზეთოვან ნედლეულს, დავალებაზე 40 ტონით მეტს.**

ვალდებულებანი მიღებულია ლანჩხუთისა და ცხაკაიას რაიონების სოფლის მეურნეობების მოწინავეთა შეკრებებზე.



მოწონებულ იქნას საწარმოთა, მეურნეობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების მოწინავე კოლექტივების ინიციატივა სსრ კავშირის იუბილეს ღირსეული შეხვედრისა და მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“.

მძლავრი აღმავლობის წლები

საბჭოთა აჭარის 51 წლისთავი

51 წლის წინათ, 1921 წლის 18 მარტს აჭარის მშრომელებმა ქართველი ხალისა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს მენშევიკთა ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

აჭარის ახს რესპუბლიკის არსებობა და წარმატებები განუყოფელად დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან.

თვალსაჩინო წარმატებებით ხვდებიან რა თავიანთ დღესასწაულს, აჭარის მშრომელები სიხარულისა და სიამაყის დიდი გრძნობით აკვლევენ თვალს ბრძოლისა და თავდადებული შრომის შედეგებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა და განვითარდა ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათამშენებელო, ხის დამამუშავებელი, ელექტრომოწყობილობის, კოფეინის, ჩაის, თამბაქოს, საკონსერვო, ტყავის და სხვა დარგების მრეწველობა. განუხრელად უმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ხორციელდება წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ტექნიკური პროცესების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

აჭარის სამრეწველო კოლექტივები ჩაბმული არიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვიან, რომ ვადამდე შესრულონ ხუთწლიანი გეგმის მეორე წლის დავალებები და გეგმის გადამეტებით აწარმოონ ელექტროენერგია, თამბაქო, ლუდი, ღვინო, არაყი, უალკოჰოლო სასმელები, საკონდიტრო და პურფუნთუშის ნაწარმი, ძეხვეული, ჩაი, ფეხსაცმელი, ელექტრომოწყობილობა და სხვა პროდუქცია.

ტექნიკური პროგრესის განუყოფელ ნაწილად მიჩნეულია შრომის, წარმოებისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის შემდგომი განვითარება და ყოველი ღონისძიებით დაჩქარება. შრომის ორგანიზაციაში სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ხედავენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის წარმატებით ამაღლების ერთერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. კომპლექსური გეგმების რეალიზაციის, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების დანერგვის გზით მიღწეული იქნება შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა, განვითარდა მეჩაიეობა, მეეტერსეიფობა და სხვა ძვირფას ტექნიკურ კულტურათა წარმოება. ჩაის კულტურა აჭარის დიდი სიმდიდრეა. როგორც ყოველთვის, გასულ წელს ჩაის წარმოებამი მიღწეულია შესანიშნავი წარმატებები. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 40.458 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.140 ტონისა. თვითეული ჰექტარზე სამუალოდ მიღებულია 5.725 კილოგრამი. საგულისხმოა ისიც, რომ მეჩაიეობის სამივე რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა როგორც სახელმწიფო გეგმა, ისე აღებული ვალდებულება. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მეეტერსეობის განვითარებაში, მეეტერსეობის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იბრძვიან იმისათვის, რომ 1975 წლისათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა აიყვანონ 100 ათას ტონამდე.

საკოლმეურნეო წყობილებამ ძირეულად შეცვალა აჭარელი გლეხის ცხოვრება. განუხრელად მაღლდება მისი კეთილდღეობა, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ცხოვრების დონე. ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთავრდება საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა და ვალდებულებების აღება. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის კომისიებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ჩვენი დროის შესანიშნავ მიღწევად უნდა ჩაითვალოს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის მორალური სახის ჩამოყალიბება, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა და რაც მიუღწეველი და მიუღებელი იყო რევოლუციამდელი პერიოდისათვის, მისი პატრიარქალურ-მეშჩანური ყოფისათვის. კერძო საკუთრება და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია უხეშად თელავდნენ მშრომელი ადამიანის უფლებებსა და ზნეობრივ ნორმებს. აჭარის მშრომელებმა, რომელთა მორალური სახე სოციალიზმის პირიდიდან ჩამოყალიბდა, კარგად იციან, რომ საზოგადოების კეთილდღეობა განაპირობებს მათს პირად კეთილდღეობას, მათი ნათესავებისა და ახლობლების მეკეთილეობას. ამიტომაც ისინი ყველა შესაძლებლობით იბრძვიან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და განხტკიცებისათვის.

აჭარის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ბედნიერი გაკეთებული ქალის მონური, უუფლებო მდგომარეობიდან განთავისუფლებისათვის. ახლა თავისუფალი აჭარელი ქალი წარმატებით მუშაობს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე: მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სხვა დარგებში. აჭარელი ქალები წარმატებით აერძღვებენ საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ტრადიციას — ჩაბმული არიან პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. მოწყობილ ქალთა კომიტეტებში და წარმატებით მონაწილეობენ საზოგადოებრივი ნაირსახოვანი საჭირბოროტო საკითხების განხილვა-მოგვარებაში.

სულ უფრო იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება აჭარის კურორტები. ჩვენი რესპუბლიკის სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, ტურისტული ბაზები ყოველწლიურად დიდძალ დამსვენებელსა და ტურისტს იზიდავენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. მრავალი დამსვენებელი ჩამოდის ევროპელ ტურისტებსაც. ეს ადასტურებს, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მასინჯაურში, ფუნინე კონცხზე, ციხისძირსა და ქ. ბათუმში. ფართოვდება სასტუმროებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი.

მომდინარე წლის დეკემბერში საბჭოთა ხალხი დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ნებაყოფლობითი სახელმწიფო გაერთიანების სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბლეს. აჭარის მშრომელები გულდასმით ეცნობიან ამ საკითხზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, კისრულობენ ახალ „დიდებულ ვალდებულებებს, აკეთებენ ყველაფერს, რომ ღირსშესანიშნავი წარმატებებით აღინიშნოს მრავალეროვანი სახელმწიფოს დიადი დღესასწაული.

1922 წლის 4 დეკემბერს შეიკრიბა აჭარის ასსრ საბჭოების მეორე ყრილობა, რომელმაც მოისმინა მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ და მხურვალედ მოიწონა ძმური კავშირის განმტკიცება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ მხოლოდ ყველა ჩვენი სამეურნეო ქონებისა და ძალების გაერთიანებით არის შესაძლებელი გავაძლეროთ ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა და მით გავაუმჯობესოთ მუშათა და გლეხთა კეთილდღეობა, მხოლოდ მშრომელთა სახალხო რესპუბლიკების სამხედრო და პოლიტიკური კავშირის გაძლიერება შექმნის იმ ძლიერ მუშტს, რომელიც დღეს პასუხს გასცემს საერთაშორისო ბურჟუაზიის ყოველგვარ ზრახვებს.

„სოციალიზმის გზაზე დამდგარ თანასწორუფლებიან ხალხთა ამ მძლავრი კავშირის შექმნაში, განმტკიცებასა და განვითარებაში, — თქვა ამხანაგმა ბრეჟნევმა პარტიის XXIV ყრილობაზე, — თავისი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ერმა და ეროვნებამ, უწინარეს ყოვლისა კი დიდმა რუსმა ხალხმა. მისმა რევოლუციურმა ენერგიამ, თავდადებამ, შრომისმოყვარეობამ, ღრმა ინტერნაციონალიზმმა სამართლიანად მოუპოვებელ მას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხის გულწრფელი პატივისცემა“.

მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად აჭარის მშრომელები ძალოვანი და მეტოქეობითი ენერგიით აღიარებენ შეცდენენ მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს. ფაბრიკებში, ქარხნებში, წარმებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ... ეკონომიკური გაერთიანებანი, სოციალისტური შეჯიბრები, რომელიც გამოსაცდელ ... ინტერნაციონალიზმი, ... ტერიტორიებს, მათს სიყვარულს საბჭოთა საშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, შესანიშნავი კომუნისტური მომავლისადმი.

ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორგენოსანი აჭარის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი წარმატებებით, მაგრამ ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. ჯერ კიდევ სერიოზული ხელოვნებებია ცალკეული სამრეწველო საწარმოების მუშაობაში, დაბალია შრომის დისციპლინა, ზოგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ჩვენს პირობებში ჩამორჩენილი დარგებია მეციტრუსეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა. ბევრი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს დარგები რენტაბელური გახდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ საბჭოთა ხალხს მიმდინარე ხუთწლედში გრანდიოზული ამოცანები დაუსახეს. ემზადებიან რა საყოველთაო სახალხო დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეული შესვედრისათვის, აჭარის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას და წარმატებით შეასრულებენ ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებს.

ლ. დავითაძე,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ᲣᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲘᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ „ᲠᲐ ᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ?“. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

„...ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲔᲒᲠᲐᲜᲣᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡᲝᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ“. ᲨᲐᲠᲗᲝᲗ ᲓᲐᲐᲪᲘᲜᲝᲗ ᲐᲖᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲠᲬᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. — ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜᲛᲝᲪᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲮᲘᲝᲪᲘᲡᲚᲝ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲛᲝᲛᲘᲠᲘᲗᲝᲗ ᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲔᲢᲧᲣᲕᲔᲚᲡᲐᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში!

რაოდენობაც, ხარისხიც...

ჩაის მრეწველობა ახალ ხუთწლედში

ლიდი ამოცანებია დასახული ჩაის მრეწველობის წინაშე მეცხრე ხუთწლედში. უნდა გადაპჭრას ხაბეთთა კავშირის მოსახლეობის საკუთარ წარმოების ჩაის პროდუქციით მაჯისმაღურად დაკმაყოფილების და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. ამ ამოცანის გადასაწყვეტად კი საჭიროა გაიზარდოს ნედლეულის ბაზა, აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს ახალი სიმძლავრეები, უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, დაინერგოს შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდები.

სკკპ XXIV ყრილობაზე ამხ. ვ. პ. შეკვანაძემ აღნიშნა, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის საქართველოს მეჩაიეები დაამზადებენ 300 ათას ტონა ჩაის ფოთოლს. ხუთწლედში ასეთი დიდი რაოდენობით ჩაის ფოთლის წარმოების გაზრდა ჩაის მრეწველობის წინაშე სახავს ამოცანას უმოკლეს დროში სიმძლავრეები ისე გავზარდოთ, რომ 1975 წლისათვის ეწარმოებოდეს 300 ათასი ტონა ჩაის ფოთლის ყაღალ ტექნოლოგიურ დონეზე გადამუშავება. ამ მიზნით მიმდინარე ხუთწლედში აშენდება 70-ტონიანი სადღეღამისო სიმძლავრის 7 ახალი ჩაის ფაბრიკა.

1971 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა სამტრედიის ჩაის ფაბრიკა, 1972 წელს ამუშავდება ზალენჯიხის № 3 და მოქვის ჩაის ფაბრიკები. დაწყებულია შემოქმედის, კასათის და ბარლების ჩაის ფაბრიკების მშენებლობა, მიმდინარე წელს დაიწყება შრომის ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობაც. ახალი სიმძლავრეების მშენებლობის პარალელურად წარმოებს არსებული საწარმოო სიმძლავრეების გაღიდება. ამ მიზნით ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია 14 ჩაის ფაბრიკას მიუშენდეს 48-ტონიანი სადღეღამისო სიმძლავრის მეორე კორპუსები, სადაც ძირითადად იწარმოებს მწვანე ბაიხაო ჩაის გამოშვება. 1975 წლის ბოლოსათვის მოდერნიზებული იქნება 350 ჩაის სახმობი ღუმელი.

დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდება მიმდინარე წელს. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის ჩაის ფაბრიკებში ტექნოლოგიური და ძალოვანი დანადგარების, კაპიტალური შეკეთების გარდა საწარმოებში მიმდინარეობს ინვენტარის დამზადება, 33 ჩაის ფაბრიკაში გაფართოვდება დამხარისხებელი საამქროები. ამ ღონისძიების განხორციელებით არსებულ საამქროებს ემატება 18 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. ეს საშუალებას მოგვცემს ერთდროულად და ცალცალკე დავახარისხოთ და შეფუთოთ მაგი და მწვანე ბაიხაო ჩაი, რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

23 ჩაის ფაბრიკაში წარმოებს საკალორიფერო განყოფილების რეკონსტრუქცია ცხელი ჰაერის მიწოდების სქემით შეცვლით, რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს ღნობისა და ფიქსაციის პროცესს.

მეცხრე ხუთწლედში ჩაის მრეწველობის განვითარების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიური სქემების დამუშავება და ამით ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება, ახალი მძლავრი მანქანების წარმოებაში დანერგვა, საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაცია, ჩაის ფოთლის გადამუშავების უწყვეტი ხაზების შექმნა, მართვის სისტემის ავტომატიზაცია და შრომის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა.

ხუთწლედში 40 ფაბრიკაში დამონტაჟდება 70 ცალი 3-ტონის ტევადობის შემრევი საკუთაკე ღოლი, მექანიზებული გახდება ჩაის ფაბრიკების ცენტრალური და პერიფერიული პუნქტების შრომატევადი სამუშაოები კონტეინერების გამოყენებით, სალნობსაფიქსაციო აგრეგატებში ჩაის ფოთლის მიწოდების მექანიზაცია დაინერგება 70 ფაბრიკაში, ორპოზიციანის საბეკნინ მანქანები დამატებით დამონტაჟდება 25 ფაბრიკაში; წარმოების პროცესების ავტომატიზაციის ხაზით გატარდება შემდეგი ღონისძიებანი: დაინერგება ბაიხაო ჩაის წარმოების თბური პროცესების რეგულირების ავტომატიზაცია, პერსპექტიულად უნდა ჩაითვალოს მრეწველობაში შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის პარალელური გადამუშავების ახალი მეთოდის დანერგვა, რაც გათვალისწინებულია 1975 წლის ბოლოსათვის მეტ წილ ჩაის ფაბრიკებში.

ჩაის საკრეფი მანქანებით მოკრეფილი ფოთლის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით სამეცნიერო დაწესებულებები და „საქჩაის“ ტრესტის სპეციალისტები ამუშავებენ ჩაის ფოთლის დახარისხებისა და დიფერენციალურ-პარალელური გადამუშავების ახალ ტექნოლოგიურ სქემას შავი, მწვანე ბაიხაო ჩაისა და ლაო ჩაის გამოსაშვებად.

უკანასკნელ ხანს გაიზარდა მოთხოვნილება შავი ჩაის წვრილ პროდუქციაზე, რომელიც საუკეთესო ნაყენს იძლევა. ამიტომ ჩაის მრეწველობაში ასეთი პროდუქციის წარმოების გადიდების მიზნით ხორციელდება მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებანი.

ამ მიზნით ორ ჩაის ფაბრიკაში გათვალისწინებულია საგრეხ საამქროში ახალი ტექნოლოგიური სქემის დანერგვა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს საგრეხი საამქროს სადღეღამისო წარმადობა 25-28 ტონით გავაღიდოთ, ხოლო რაც მთავარია, გაიზრდება წვრილი ჩაის გამოსავლიანობა და ამაღლდება შავი ჩაის ხარისხი.

მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი მეტად უჩვეულო იყო როგორც მეჩაიეებისათვის, ისე ჩაის მრეწველობის მუშაკებისათვის. გაზაფხულის ცუდმა ამინდებმა წინა წლებთან შედარებით თითქმის ერთი თვე დაგვიანა ჩაის კრეფა. მეჩაიეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაისის 13 ღეღეში 61.350 ტონა „მწვანე ოქრო“, ანუ წლიური გეგმის 26 პროცენტი მოკრიფეს, მთლიანად მაისში 97.540 ტონა ჩაის ფოთოლი დამზადდა. ნელგეულის ასეთი მოზღვავების გამო ჩაის მრეწველობის მუშაკებს 18 ღეღეში ყოველდღიურად სადღეღამისო სიმძლავრის გადამეტებით 700 ტონაზე მეტი ჩაის ფოთლის მიღება და გადამუშავება უსდებოდათ. ასეთ მძიმე პირობებში ჩაის ფაბრიკების კოლექტივებმა არა მარტო შეძლეს ნედლეულის მიღება, არამედ უწარუნველყვეს მაი მთლიანად და ხარისხოვნად გადამუშავება. ამით ჩაის მრეწველობის მუშაკებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ წარმატებით განახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

სეზონისათვის კარგად მომზადებამ განაპირობა მანქანა-დანადგარების შეუფერხებელი მუშაობა. შარშან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4.540 ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაი, ანუ 1970 წელთან შედარებით 1.600 ტონით მეტი. მოთხოვნილების გაზრდის გამო შავი ბაიხაო ჩაი 1970 წელთან შედარებით 1971 წელს გამოშვებულია 5.020 ტონით მეტი. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ყვავილოვანი 2.085 ტონა უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქცია, აქედან 270 ტონით მეტი შავი ბაიხაო ჩაი „ეფსრა“. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე დაფასოებული ბაიხაო, ფილა და მწვანე აგური ჩაის გამოშვებისა და საკოფეინე მასალის წარმოების დაგალებანი. რეპუბლიკის ჩაის მრეწველობამ ექსპორტისათვის 6.950 ტონა და მწვანე ბაიხაო ჩაი და 3.750 ტონა მწვანე აგური ჩაი გამოუშვა.

შრომის სწორმა ორგანიზაციამ, ახალი ტექნიკის დანერგვამ და მრეწველობის მუშაკთა თავდადებულმა შრომამ, ყაირათიანობამ და მომჭირნეობამ სასურველი საყოფი გამოიღო, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 3,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 700 ათასი მანეთი ეკონომია და 900 ათასი მანეთი შეგვმინი მოგება.

გასული წლის ოქტომბრიდან მრეწველობა შეუდგა 1972 წლის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა-გადამუშავებისათვის მზადებას, 23 ჩაის ფაბრიკაში მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრებულია. მრეწველობის მუშაკებს დიდ დახმარებას გვიწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რადგან მასობრივი შრომითი ენთუსიაზმი, მასების ცოცხალი შემოქმედებითი აქტივობა ყველაზე მკაფიოდ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიხატება. ამიტომ არის, რომ ჩაის მრეწველობის მუშაკებს შორის სულ უფრო ფართოდ იშლება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ზღუდეების დასაპყრობად, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

რ. ხოფერია,
ტრესტ „საქჩაის“ მმართველი.

იმ ქარცეცხლიან დღეთა გმირები

ედიდ სამამული ომში ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხთა წარმომადგენლების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ქართველებიც. ქართული საბრძოლო ნაწილები და შენაერთები, რომელთაგან განსაკუთრებით ისახელა თავი ყოფილმა ინაპის წითელდროშოვანმა 414-ე მსროლელმა დივიზიამ. სახელოვანნი დივიზიის გმირულ მატიანეშია ბრძოლები ინჩორსკიისათვის, მოზდოკისათვის, ინაპისა და ტამანის, ქერჩის პლაცდარმისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის.

20 ათასამდე მეომარი იბრძოდა დივიზიის შემადგენლობაში. ბევრი მათგანი დაიღუპა, ბევრიც გამორჯვებული დაბრუნდა შინ. სწორედ მათ — გმირჯვებულებმა ბევრი რამ გააკეთეს დიდუპენ თანამებრძოლთა უკვდავსაყოფად — გამოიცა ამ დივიზიის მეთაურის მოადგილის, პოლოტგანყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ვ. ჯანჯღავას საინტერესო წიგნი „414-ე წითელდროშოვანი“. გამოქვეყნდა ბევრი მოგონება, ნარკვევი, წერილი. მაგრამ ქართული დივიზიის გმირული გზა ჯერ კიდევ ამოუწურავი თემაა.

სწორედ ამ მხრივ არის აღსანიშნავი დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი „ქართველო,“ ხელი ხმალს იკარ“, რომელიც ქუთაისელმა კინომოყვარულებმა უძღვნეს ქართული დივიზიის საგმირო საქმეებს.

ფილმი გადაიღო ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ: სცენარის ავტორი, რეჟისორი და მთავარი ოპერატორი — კინოფოტოკიინის ქუთაისის განყოფილების მუშაკი რევაზ ერისთავი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თინათინ ღვინიაშვილი, ფილმის სამხედრო კონსულტანტი — ყოფილი 414-ე დივიზიის ვეტერანი სერგო გოშნეთელანი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ოპერატორები — გაზეთ „კუტაისაკია პრავდის“ ლიტერატურული მუშაკი რევაზ ბაბენაშვილი (ამჟამად მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის საოპერატორო ფაკულტეტის სტუდენტი) ჯონი ყურაშვილი და სხვ.

ჯგუფს არსებითი დახმარება გაუწევიან პარტიისა და კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტებმა, ომის ვეტერანთა საქალაქო საბჭომ და ქუთაისის № 4 სამშენებლო ტრესტის მუშათა კლუბის საბჭომ. ჯგუფისათვის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, ყოფილი მთავარი ინჟინერის, ამჟამად ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დ. ქართველიშვილის თაოსნობით, საცდელი გარბენისათვის „ლოზინი“ ავტომანქანა „კოლხიდა“ საგანგებოდ აღჭურვა ხანგრძლივი მოგზაურობისათვის...

ქუთაისიდან ბაქოზე გაელეთ ჯგუფი ბუინაკსში ჩავიდა. აქ, მდინარე სულაკის ნაპირზე, 1942 წლის გაზაფხულზე დაიწყო ყოფილი 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა. სწორედ ბუინაკსში გადაიღო ჯგუფმა პირველი კადრები.

ფილმის ემოციური მხარის გაძლიერებლად რეჟისორმა დოკუმენტურ ფონად გამოიყენა მხატვრული ელემენტი — დივიზიის ნაკვალევზე დადის ჯარისკაცის დედა, ქართველი ქალი (მსახიობი თ. ღვინიაშვილი), რომელსაც ცალ ხელში ქართული მიწით სავსე ჯამი უჭირავს, ცალში კი. — ანთებული კელაპტარი. იგი ეძებს შინმოსულელი შვილის საფლავს, ეძებს შვილთა გმირულ ნაკვალევს.

სოფლის ორღობეში, ჩვეულებრივ ქართულ ორღობეში, იწყება დედის ოდისეა.

ეს ფილმი ნახა და მოიწონა ქუთაისელმა მაყურებელმა. იგი უნდა ნახოს ყველამ. ამ თემაზე ფილმები კიდევ უნდა გადაიღოთ, რათა უკვდავყოთ იმათი სახელი, ვინც თავი დასდო სამშობლოსათვის.

ზალვა ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სერგო ჰეიშვილი,
ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი.

ფილმი ქართულ დივიზიაზე



მარადიული

ქართველი ხალხის მეგობრებს შორის ქალაქ მოსკოვში ყოფნისას მოვინახულე ერთ-ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე — რესპუბლიკის სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ანატოლი ნიკიფორეს-ძე იარ-კრავჩენკო... მან 25 წლის უნახავი მეგობარი მიცნო, გაუხარდა, მიმიწვია და მაშინვე მოიკითხა თავისი საყვარელი კოლეგები — უჩა ჯაფარიძე, ალოლონ ქუთათელაძე, კოტე და მერაბ მერაბიშვილები, გიგლა ფირცხალავა...

გულწრფელი პატივისცემით გაიხსენა მხატვარმა გამოჩენილი ქართველი მწერლები — შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, იოო მოსაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გრიგოლ აბაშიძე, ბესარიონ ყდენტი...

საუბრით ვიყავით გართული, რომ იარ-კრავჩენკოს სასწრაფოდ გამოუძახეს სამსახურში. მან ბოდიში მოიხადა, არ მოიწყინო, მალე დავბრუნდებიო, და მისი სახელოსნო, მდიდარი არქივი — სანახაობანი „ჩამბარა“.

გულდასმით დავათვალიერე საბჭოთა მწერლების მაქსიმ გორკის, დემიან ბედნის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ნიკოლოს ოსტროვსკის, ალექსანდრე ტოლსტოის, კონსტანტინე ფედინის, ლეონიდ ლეონოვის, ალექსანდრე ფადეევის, კონსტანტინე სიმონოვის და სხვათა მაღალი გემოვნებით თვით იარ-კრავჩენკოს მიერ ნატურიდან შესრულებული პორტრეტები... სანტურესო და მიმზიდველია მხატვრის ცნობილი ფრონტული ალბომები, სადაც ხუთასზე მეტი ნახატია ლენინგრადის ბლოკადის დროს უშუალოდ ნანახითა და განცდილით შესრულებული...

ვათვალიერებდი ნახატებს და გამახსენდა 1948 წლის გვიანი შემოდგომა — სამხრეთ ოსეთის სოფლო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის თანამშრომლებმა რომ გადავწყვიტეთ მოგვეწყო შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტ გიორგი ლეონიძესთან და მეოსნის ჩამოყვანა ქალაქ სტალინირში რომ მე დამევალა...

შაბათს, 13 ნოემბერს, დილით, დაახლოებით თერთმეტ საათზე, გიორგი ლეონიძეს მივაკითხე ოჯახში... მან მიმიპატიჟა და ჩამჩურჩულა:

— მოსკოველი სტუმარი მყავს, ცოტა ხანს აქ გაგატაროთ დრო და მერე წავიდეთ!..

— ბატონო გოგლა, — ვუთხარი, — ხომ იცით, დღეს არის დანიშნული თქვენთან შეხვედრა, არ დაგვგვიანდეს!..

— ნუ გეშინია, ყველაფერს მოვასწრებთ! — ხელი გადამდო მხარზე, გამლილ პურ-მარილთან მიმიყვანა და წარმადგინა, — ჩვენებურია, ჩვენი მეგობარი ჟურნალისტი!..

იქ დამსწრეთაგანი მწერალი ლევან ასათიანი ვიცანი, მეორე — მხიარული მოლაპარაკე ვაჟკაცი, შემოქმედებით მიყოლინებაში ჩამოსული მხატვარი იარ-კრავჩენკო აღმოჩნდა.

...გიორგი ლეონიძეს ვაუწყე, საუცხოო მომზადება გვაქვს-მეთქი, და ვთხოვე სტუმრებიც წამოეყვანა. მან მაშინვე მომცა დასტური და, მართლაც, „ემადინით“ ყველანი ერთად გავუდექით გზას...

...ვზაზე გამუდმებით მხიარულობდა, მახვილსიტყვაობდა ლეონიძე. საქართველოში პირველად ჩამოსულ სტუმარს ლევან ასათიანი ესაუბრებოდა, უყვებოდა საინტერესო ამბებს...

სადაც მტკვრისა და არაგვის წყალნი
ერთმანეთს გრგვინვით
უერთდებიან,
და ჩახვეულან, თითქოს დებია...

— მიხეილ ლერმონტოვი! — აღმოხდა მოსკოველს.

— დიახ, ასი წლის წინათ, უფრო ადრეც, ის იყო საქართველოში, მცხეთაში და ეს სტრიქონებიც მას ეკუთვნის!..

...განვაგრძეთ გზა. გორი და გორის ციხე გამოჩნდა, გიორგი ლეონიძეს მოუსვენრობა დაეტყო, სახე ღიმილმა და სიხარულმა დაუფარა, თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონად ჩაიბუტუნა:

გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო.
ადრეც ღირსად წამებულო,
დღესაც მთქმელო მართლისაო.

სტუმართან ერთად დავათვალიერეთ იოსებ სტალინის სახლი, მუზეუმი და გორის ღირსშესანიშნაობანი...

...დღის ბოლო იყო. სტალინირის კოსტა ხეთაგაუროვის სახელმწიფო თეატრი ხალხს ვერ იტევდა. იქ იყვნენ საწარმო-დაწესებულების, კოლმეურნეობების, ინსტიტუტისა და სკოლების საუკეთესო წარმომადგენლები...

შეხვედრა დაიწყო. ყვავილებში ჩამალული სცენიდან მოჩანდა ჩვენი საამაყო პოეტი — აკადემიკოსი, ქართული სიტყვის და პოეზიის დიდი მოჭირნახულე გიორგი ლეონიძე. მის მელოპპარაკა თვალებდასუქტული, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ საღამოთი მათ დახუჭავდა სამუდამოდ...“

— იმ დროს საზღვარგარეთ ვიყავი მივლინებაში, — სინანულით თქვა ანატოლი ნიკიფორის-ძემ...

დახანების შემდეგ მხატვარი ადგა, გახსნა მოზრდილი ალბომი, ამოიღო სათუთად გადანახული ოცდახუთი წლის წინათ ქალაქ თბილისში მის მიერ დახატული გიორგი ლეონიძის სურათი და წაიკერა: „გიორგი დავითის-ძეს! ჩვენი ძვირფასი გოგლა ლეონიძის მოსაგონებლად!“ — და გადმომცა.

ულმობლად მიჰქრის წუთისოფელი და სიცოცხლეც წარსულს ბარდება, მაგრამ სამშობლოს, ხალხის მომღერალნი, მეგობრობის, ხალხთა ერთობისა და მშვიდობის მთესველნი არასდროს არ იკარგებიან... ჩვენმა მოშვალმა თაობებმა უნდა დაიფასონ და სათუთად შემოინახონ სახელოვანი წინაპრების მდიდარი ტრადიციები.

გიორგი კაკიანშვილი.
ქ. მოსკოვი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — მხატვარი ანატოლი იარ-კრავჩენკო; მარჯვნივ — გიორგი ლეონიძის პორტრეტი, შესრულებული იარ-კრავჩენკოს მიერ.

საკონცერტო გაზაფხული

თბილისელი მაყურებელი ნახავს

ამჟამად სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში კონცერტები აქვთ პოლონეთის ესტრადის მსახიობებს. მათს პროგრამას მეტად გულთბილი სათაური აქვს — „ჩვენ გიძღვნით სიმღერას“...

ამ პროგრამის შედეგ წარმოდგენილ იქნება საესტრადო სანახაობა — თეატრი „მიკრო“ — „საქმე შლაბაში როდია!“ წარმოდგენაში მონაწილეობს ლევ გორელიანი.

თბილისში კონცერტებს გამართავს ეუგოსლავიის საესტრადო რევიუ „მესიალური ტელეგრამა“. ჩვენი მაყურებლის წინაშე გამოვლენ მსახიობები: ზდენკა ქოვაჩიჩეკი, კატია მარკოტიჩი, ეკა მიდრაკოვა, ზორან ევრემოვიჩი, მირკო ბარიჩი, მაკი ევრემოვიჩი. აგრეთვე ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ალტრუისტი“.

მარტის ბოლოსათვის თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში დაგეგმილია დიდი საერთაშორისო საესტრადო პროგრამა — „თქვენ გელიმიან ვარსკვლავები“. არა ერთი და ორი გამოჩენილი მომღერალი და საესტრადო კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას ამ კონცერტში: პოლონელი რეგინა ბისარეკი, ჩეხი ევა პილაროვა, იუგოსლავიელი ბოიან კოდრიჩი, ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი: „ჩერეონე გიტარი“, „ფლეფინი“, „მალადოსტი“ და სხვ.

2 აპრილიდან 22 აპრილამდე თბილისში გასტროლებს გამართავს ლენინგრადის მინიატიურების თეატრი ირკადი რაიკინის მონაწილეობით.

საქართველოს დედაქალაქს ეწვევა ესპანელი მოცეკვავე კატი — კვლავიხე. გამოჩენილი მოცეკვავე ჩვენი მაყურებლის წინაშე წარსდგება პროგრამით — „ულამენკის ციკვები და მელოდიები“.

აპრილის შუა რიცხვებში თბილისის სპორტის სასახლეში გიმართება დიდი საერთაშორისო კონცერტი — „მეგობრების მელოდიები“. მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ცნობილი მომღერლები და საესტრადო კოლექტივები.

29 აპრილიდან 2 მაისამდე იმავე სპორტის სასახლეში გასტროლებს გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების საესტრადო ანსამბლი.

მაისის პირველ რიცხვებში ჩვენს დედაქალაქს უკვე მეორედ ეწვევა საქვეყნოდ ცნობილი ბულგარელი მომღერალი ლილი ივანოვა, ხოლო 5-დან 9 მაისამდე თბილისში გამოვალენ კოლუმბიის ესტრადის მსახიობები ე. მინის ხელმძღვანელობით.

საგასტროლოდ სხვა ქვეყნებში

გაზაფხულზე საინტერესო გასტროლები ელით ჩვენი ესტრადის მსახიობებსაც. ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ივერია“ ამჟამად კაირობაა და მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენაში.

2 აპრილს ფინეთში მიემგზავრება „ორერა“, ჩვენი მსახიობები რამდენიმე კონცერტს გამართავენ ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ქალაქებში. მათი ტურნე ფინეთში 29 აპრილამდე გასტანს.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვენერა მაისურაძემ მიიღო მიწვევა პერუდან, სადაც იგი აპრილის პირველ რიცხვებში გამართავს კონცერტებს. ეს ნიჭიერი ქართველი მომღერლის კიდევ ერთი აღიარებაა.

ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „დიელო“ საგასტროლოდ გამგზავრებას აპირებს დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში.

პ. ნაცვლიშვილი.

ხალხური პოეზიის სილრმე

წიგნის თარო

ხალხის კულტურის ისტორიის მწერლობამდელი პერიოდის, ანუ პრეისტორიის ძირითადი პირველწყაროებია არქეოლოგიური და ზეპირსიტყვიერების მონაცემები.

იკანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდთა, განსაკუთრებით — ქართული მითოლოგიისა და წარმართულ რწმენათა საკითხების შესასწავლად ფართოდ იყენებდა ქართული ტომებისა და მათი ძველი მეზობლების ენობრივ და ზეპირსიტყვიერების მასალებს.

მაგალითად, ივ. ჯავახიშვილმა მეგრული ფოლკლორული მასალების მიხედვით აღნიშნა, რომ დღითა სახელები: ბეაშხა-კვირა ნიშნავს მზის დღეს, თუთაშხა — ორშაბათი — მთვარის დღეს, ცაშხა — ხუთშაბათი — ცის დღეს, ობიშხა — პარასკევი — ობის, ვების—ცა-ღრუბელთა ღვთაების დღეს და ასე შემდეგ, და ეს უძველესი ქართული ასტრალური წარმოდგენების ნიმუშებია.

ადრევე ალ. ცაგარელს, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, შ. ბერიძის და ზოგიერთ სხვათა მიერ მოპოვებულსა და გამოქვეყნებულ მეგრულ-ჭანურ (ლაზურ) მასალებს მხოლოდ 1937 წლის მიერმატა მ. ხუბუას მიერ შეკრებილი მეგრული მასალების წიგნი. ყოველივე ეს მცირეა იმასთან შედარებით, რაც ხალხში მოიპოვება. ასეთ მასალათა შესწავლის მხრივაც ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი.

მხოლოდ 1970 წელს გამოქვეყნდა პროფესორ აპოლონ ცანავას მონოგრაფია „ქართული ზეპირსიტყვიერების მიხედვით“ (მეგრული მასალების მიხედვით)“ და სარფელი ლაზის ზურაბ თანდილავას „ლაზური ზღაპრები“.

ახლახან გამოვიდა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლის ძ. სამშიაის მიერ შედგენილი კრებული — „ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები)“.

წიგნის წინასიტყვაობის ავტორი და რედაქტორი აპ. ცანავა წერს: სამეგრელოს კუთხეების „ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული შესწავლის დაყოვნება არ იყო გამართლებული და ეს უახლოეს მომავალში უნდა გამოსწორდეს“.

რედაქტორი წიგნის სახელწოდების თაობაზე აღნიშნავს: ამ კრებულს „ქართული ხალხური პოეზიის მასალები“ იმიტომ ეწოდება, რომ მას სისრულის პრეტენზია არა აქვს“.

ეს ეხმაურება ჩვენი უდიდესი ლექსიკოგრაფიის საბა-ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ ასახული წარმოდგენას. „ბუღბული, — წერს საბა, — იგივე ნიბლიაა (იადონია)“. იადონი „სამ თვე ოდენ სტუენს და დადუმდების“, „ნიბლიას პირველად ბუღბული ეწოდება. მათთავფში — ნიბლია და ანწლის დროს — ყარანა“ (გულწოთელა).

ხარიფინნი ჯრეულს დართულია აქვს მასალათა ბიბლიოგრაფია (მოქმეულთა და ჩამწერთა სახელები და ადგილები, ჩაწერის ადგილი და დრო), რაც ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს დოკუმენტის მნშვნელობას ანიჭებს.

წიგნი „ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები)“ უთუოდ სასარგებლოა. იგი გამოადგება არა მხოლოდ ფოლკლორისტს, არამედ ენათმეცნიერს, ისტორიკოსს, ეთნოგრაფს და საერთოდაც — ქართული ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებულ მკითხველს.

ასეთი მასალების შეკრეფა უნდა გაგრძელდეს და თარგმანითურთ უნდა გამოქვეყნდეს. ოღონდ საჭიროა ნიმუშთა გამოცემის ტექსტოლოგიური მხარისა და თარგმანთა სიზუსტის კიდევ უფრო სრულყოფა.

იოსებ მეგრელიძე,
პროფესორი.

შუბვედრის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) № 5 ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ი. თათუჯოვი, №1 ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ბ. რუხაძე, ქ. თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, მილიციის მაიორი ზ. ხუციშვილი, სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო ზედამხედველობის პოლკის მეთაური, მილიციის მაიორი ჯ. სხირტლაძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი რ. შარცხალაძე, № 1 ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ო. ჯაბახიშვილი, № 4 სამგზავრო სატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ო. ბუტიკაშვილი, რესპუბლიკის ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ა. კობახიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ადამიანი საჭესთან და კანონი

თბილისში, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კლუბში, იუსტიციისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები შეხვდნენ თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრა თემაზე „ადამიანი საჭესთან და „ინონი“ მოაწყვეს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებმა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა, კოლეგიის წევრმა შ. პაპიძემ.

მოხსენება — „რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევათა მდგომარეობა და მათი თავიდან აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებანი“ გააკეთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა რ. თუშურაშვილმა. თანამოხსენება თემაზე „მოძრაობის უსაშიშროებისა და ტრანსპორტის იქსპლოატაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა კოლეგიის წევრმა ზ. ახაკაძემ.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს ქალაქ თბილისის ტაქსომოტორის საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ზ. გოჭაძემ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომობილებისა და ტრაქტორების კათედრის გამგემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა რ. ფარცხალაძემ, № 1 ტაქსომოტორის საწარმოს მძღოლმა, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულმა ბ. რუხაძემ, თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლემ ვ. ფეანიამ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ა. მელიქიძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კოთილმოწყობის სამმართველოს უფროსმა ბ. ნაკაიძემ, სასწავლო სამედიცინო დახმარების ლენინური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ლ. ახაშიძემ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ რ. ლეონაშვილმა და სხვებმა.

შეხვედრაზე მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მაისურაძე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი, პარ

ახალი ლექსები

წაუკითხეთ თქვენს კატარებს

გიორგი წერეთელი

ეპეხე

მეტროს შესასვლელში
საოცრება ვნახე:
ათი ყუთი თვალებს
ისე ფხიზლად ახელს,
თუ უფასოდ ძვრები,
წინ დაგიგებს მახეს.
არ დავიკრავ სახრეს,
არ შევირცხვენ სახელს,
არ ავტეხავ ხმაურს,
ჩავაყლაპებ შაურს,
მობრძანდიო, მანიშნებს
და მშვიდობით გამიშვებს.

წარწერა წყაროზე

ნუ აამღვრევ
წმინდა წყაროს,
მწყურვალისკენ
მიწანწკარობს.

ერთგული ჩიტები

ამ ზამთარშიც არ დაგვტოვეს
შაშვებმა და ბეღურებმა,
არ გაფრინდნენ, არ
შემოგვწყრენ, —
დაგვიმტკიცეს ერთგულება,
თქვეს: — ამაზე უკეთესი
სითბო არსად გვეგულება.

ხელები

ბირს ვიბანთ,
საპმელს მივირთმევთ
ჩვენი პატარა ხელებით,
კიდევ რათ გვინდა
ხელები? —
დედიკოს მოვეფერებით.
რომ გავიზრდებით დიდები,
რას გავაკეთებთ ხელებით?
დედა-სამშობლოს მოვხატავთ
ლამაზ-ლამაზი ფერებით

ჭინჭილა და კვაწია

კვაწიას ქუდი უხდება,
ჭინჭილას ჩოხა აცვია,
ჭინჭილა დოქის შვილია,
ქოთნის შვილია კვაწია, —
ისეთი ლხინი გამართეს
ცეკვავს დიდი და პაწია.

ქარგი ჩიტი

რა ჩიტი მყავს,
წამო, ნახე,
თავს მევლება,
მატკბობს, მალხენს...
ის რომ ბუდობს,
იმ მაღალ ხეს
ყოველდღე ვრწყავ,
რომ არ გახმეს.

სად იჩქარი?

— სად იჩქარი,
ნაკადულო?
— წისქვილს წყალი
დაკლებია,
ჰესებს თუ არ მივეშველე,
ნათურები ჩაქრებიან,
ხეხილსაც თუ არ მივხედე,
აღარ დაიშაქრებიან,
უჩემობით ყვავილები
ბაღში დაიჩაგრებიან.

წუნია

სულ წუწუნებს,
წუწუნებს...
დედას სადილს უწუნებს,
მამას წაღებს უწუნებს,
ბებოს წინდებს უწუნებს,
მისი დაწუნებული
გამოუხრავთ წრწუნებს.
სადაც არის წუნია —
მოთქმა და წუნია...
ტირია და წუნია
ცრემლით გაწუწულია.

მხატვარი შ. ცხადაძე.



ბაღი ...ის. რაიონული ცენტრის ლენინის მოედნის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო ი. ჰოსონელიძისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამინდის წინასწარმეტყველებთან

ხშირად კითხულობთ ჩვენს გაზეთში ამინდის ყოველდღიურ თუ ყოველთვიურ პროგნოზს. სინოპტიკოსები წინასწარ განსაზღვრავენ, როგორი იქნება არა მარტო მეორე, მესამე დღის, არამედ მომავალი თვეების გარკვეული დღეების ტემპერატურა, ქარიანობა თუ ნალექი...

ჩვენი ამინდის „წინასწარმეტყველები“ დიდ დახმარებას უწევენ სასოფლო მეურნეობის მუშაკებს. მათ მიერ წინასწარ განსაზღვრული პროგნოზითაა არაერთხელ გადარჩენილა მოსახლეობა დიდი ზარალისაგან. გავიხსენთ თუნდაც წყეთვანდელი ზამთარი. თბილისის ამინდის ბიუროს სინოპტიკოსებმა წინასწარ განსაზღვრეს, თუ რა დიდი ყინვები იყო მოსალოდნელი ყიზლარში, ზამთრის საძოვრებზე, რაც დაეხმარა მეცხოველეებს დროულად ეზრუნათ საქონლის გადარჩენისათვის.

ბევრს ალბათ აინტერესებს ბაიგის, როგორ ხდება ამინდის პროგნოზირება. ჩვენც ამ მიზნით ვეწვიეთ საქართველოს ჰიდრომეტსამსახურის თბილისის ამინდის ბიუროს.

გაცნობა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის შენობის მეცხრე სართულიდან დავიწყეთ, უფრო სწორად სხვენიდან. სახურავთან დამონტაჟებული სპეციალური ხელსაწყოდან მორიგე ფოტოტელეფონერატორი ყოველ რ საათში ერთხელ იღებს დედამიწის სიბრტყეზე ატმოსფეროს ელექტროგენური ელექტრონული ... ...